

საგზოაღმოსავლელი ჟურნალი

ქვეყნის

1992
საგზოაღმოსავლელი
14
030150
№ 17 (10548)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

რა გინდ მწარეც არ უნდა იყოს სიმართლე, მაინც უნდა ითქვას: ზუგდიდის მილიცია გაიფიცა. მას ამის ობიექტური საფუძველიც ჰქონდა. ადრე აზრად ვის მოუვიდოდა, რომ დაარბევდნენ მილიციას, თურმე ესეც უოფლოა

მოსალოდნელი. 7 ივლისს დღისით, მზისით ზუგდიდში გავლცისხ შეიარაღებულმა ძალებმა

დაარბიეს იგი. მიღეწ-მოღეწეს ყველაფერი, ცემეს მილიციელები, დაიტაცეს ნივთები და თან წაიღეს. მაინც რა? რადა ტელეფონის აპარატები, ტელევიზორი, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისათვის საჭირო ნივთმტკიცებანი და ასე შემდეგ. ალბათ, ყველაზე

უფრო დიდი ნადავლი კი ოცამდე საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა წაართვეს მძღოლებს. ვინც წინააღმდეგობა გაუწია ის სასიკვდილ-

სიმართლე უნდა ითქვას

ოდ გაიმეტეს. ასეთი ბედი ეწია ნეტარსხენებულ შაქრო შიშინაშვილს, რომელმაც არ დაანება მოძალადეებს საკუთარი ავტომანქანა. როცა თავდამსხმელები წინააღმდეგობას წააწყდნენ, ავტომანქანის ჯერით დაცხრილეს ავტომანქანა და ჯალათურად სიცოცხლეს გამოასალმეს მისი მეპატრონე. უნდა აღინიშნოს, რომ

ასეთმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მოსახლეობის დიდი შეშფოთება გამოიწვია.

შეიძლება ითქვას, რომ მათი ეს მოქმედება პირდაპირ ცეცხლზე ბენზინის დასხმაა და სხვა არაფერი. ბუნებრივია ამ ფაქტმა საზოგადოების დიდი ნაწილი უფრო რადიკალურად განაწყობა. კიდევ უფრო დაძაბა ისედაც დაძაბული სიტუაცია. აღსანიშნავია ისიც რომ ზუგდიდის მილიციის სამმართველოს 850

კაციანი შემადგენლობის გაფიცვარესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. 8 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი რომან გვეცაძე. მან პირადად ნახა მილიციის სამმართველოს დარბეული ოთახები. მერე ის შეხვდა როგორც გაფიცულებს, ისე დაზარალებულებს. შიშინაშვილის ქირისუფლებს და დეტალურად მოისმინა მათგან გაფიცვის მიზეზები. მან ილაპარაკა 7 ივლისს ქალაქში მომხდარ დანაშაულობის ფაქტებზე. თავის გამოსვლაში თქვა, რომ

სიმართლეს ვერსად გავქვიცვით. დანაშაულის ფაქტი სახეზეა. მომხდარის შესახებ ჩვენ ყველაფერს მოვასხენებთ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ელუარდ შევარდნაძეს. გვექნება მსჯელობა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე და დანაშაულები უსათუოდ დაისჯებიან. ვინც არ უნდა იყოს ისინი. გვარდიელები, მხედრობელები, თუ შინაგანი ჯარები.

ბატონმა რომან გვეცაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით ზუგდიდის მილიციის მუშაკებისაგან მოითხოვა შეწყვიტონ გაფიცვა და გააგრძელონ მუშაობა. **ო. ჯანაჯღაპა.**

უნივერსიტეტი ზუგდიდში

გაიხსნა და 1992 წლის 1 ივნისიდან ფუნქციონირებს შეუღლა ზუგდიდის ფასიანი სწავლებას დამოუკიდებელი უნივერსიტეტი. იგი დაარსდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის (ხელმძღვანელი დოც. გრიგოლ ხვიტია) ძალისხმევით და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და დახმარებით. ზუგდიდის უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს შემდეგ სპეციალობებზე, მათემატიკა, ბიოლოგია, ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია, ისტორია, მაკროეკონომიკა, საფინანსო და საბანკო საქმიანობის მენეჯერი, ბიზნესისა და მარკეტინგის მენეჯერი, სამართლი სმცოდნეობა. მომავალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მიღება სხვა დიდმნიშვნელოვან სპეციალობებზეც.

უმაღლეს სასწავლებელს აქვს დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებები. სწავლა ქართულ ენაზეა.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებითა და თანამშრომლებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტში სპეციალურ საგნებში ლექციებს კითხულობენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და სამეცნიერო-სამეთვლიელის სახელობის პრფესორები.

ტეტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების მაღალკვალიფიციური პროფესორ - მასწავლებლები და სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერ - მუშაეები.

უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ფართო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაშლა, რისთვისაც მიმდინარეობს ფართო მოსამზადებელი მუშაობა სათანადო ბაზებით უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ქართველი კაცისათვის ოდითგანვე ზრუნვის საგანია განათლება და კერძოდ, უმაღლესი განათლება. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზუგდიდში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას დიდი მოწონებით შეხვდნენ ზუგდიდისა და მისი მიმდებარე რაიონების მოქალაქეები. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა განეითარდეს და აღორძინდეს ზუგდიდის უნივერსიტეტი. დიდად სასიხარულოა, რომ ახალგაზრდები აქ სწავლობენ არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ რესპუბლიკის სხვა რეგიონებიდანაც.

ზუგდიდის უნივერსიტეტი ახლა იდგამს ფეხს, ამიტომ საჭიროა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. მოგიწოდებთ ყველა ჭეშმარიტ ზუგდიდელებს, მისი მიმდებარე რაიონების მოქალაქეებს, ყველა ქართველმა მამულიშვილს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის შვილს, ყველა საწარმოს, ორგანიზაციასა

და დაწესებულებას გაუწიოთ მატერიალური დახმარება უნივერსიტეტს, ვისაც გული ერჩის ამ იეთიშობილი საქმისადმი, გახსოვთ, ფულადი სახსრები გადარიცხთ ზუგდიდის აგრომრწვებანკში ზუგდიდის უნივერსიტეტის ანგარიშზე № 60954. სასურველია აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებელს დახმარება გაეწიოს სასწავლო მოწყობილობა დანადგარებით და ვალუტით. მე პირადად, ამჯერად ამ საშურ საქმეზე, ჩემი დანაზოგიდან, აღნიშნულ ანგარიშზე გადავრიცხავ თას მანეთს.

კარგი იქნება, თუ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო დახმარების მიზნით ზუგდიდის უნივერსიტეტს ნაწილობრივი უფასო სწავლებისათვის გამოუყოფს კონტინგენტს.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს დაამშვენებს ამ შესანიშნავი რეგიონის ბრწყინვალე წარმომადგენლის, დიდი ქართველი მამულიშვილისა და მეცნიერის—კალისტრატე სალიას სახელი. ზუგდიდის კალისტრატე სალიას სახელობის უნივერსიტეტი—რა შესანიშნავად ჟღერს, რა დიდებულია! სულ გამარჯვებითა და აღმავლობით გველოს ზუგდიდის უნივერსიტეტი!

ნოდარ ბერძენაძე,
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორატის მრჩეველი სასწავლო-აღმზრდელობით და საერთო საკითხებში, დოცენტი.

მითებთა და ლეგენდებითა გაცისკროვნებული და ამავე დროს, ბუნდოვანი სამყარო ცივილიზაციისაკენ მიმსწრაფ გზაზე თანდათან ადგილს უთმობს ცხოვრების ჰუმანიზაციასა და ჰომონიზაციას, აღამიანებს შორის უაღრესად გამჭვირვალე ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ გზებზე უნდა გავიღეთ ჩვენც. ამ გზებზე სიარულს ცდილობდა, მუდამ ჩვენი ხალხი. სახელგანთქანი წინაპართა მოგონებ-

ზუგდიდი გაიღვიძებს..

ებს რომ არ მივმართოთ, ამ საუკუნის 30-იანი წლების თაობას კარგად ახსოვს, თუ რა გზებით მიდიოდა ზუგდიდი. არც მეტს, არც ნაკლებს, ზუგდიდი სულ ბოლო დრომდე ჩვენი სიამაგე და სიყვარული, ორთოდოქსალური სიმბოლო იყო რწმენის.. ისეთი მაღალხეობრივი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი. როგორცია პატროსნება, სინდის-ნამუსი სტუმართმოყვარეობა, ბედშეფთა დახმარება, თუ ჩაგრულთა ქომაგობა და ა. შ. არსებითად, ზუგდიდ-ქალაქთან ასორცირდებოდა და ეს მანამდე არახსულ ძალასა და შემართებას მატებდა მეგრულ კაცს, არასდროს რომ არ უჭირდა ზოგადქართულ ნიადაგზე მყარად დგომა.

დღევანდელი ზუგდიდის ორგანიზმის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მხარე კი გასაოცარ ანტაგონიზმს ქმნის:—კოპწია ოდა სახლებსა და ქარვასლა—სასახლებებს, დაწმენილი-ნაპატივებ ეზო-კარსა თუ ბალ-ვენახებს აუფასურებს გატიალებულ-გაუბედურებულ ქუჩა-მოედნები, თუ შენობა-ნაგებობანი. კერძო და საზოგადოებრივ შორის ეს გარეგნულ წინააღმდეგობა შინაგანი დაპირისპირების გაუკუღმართებული ასახვა მხოლოდ: საქმე ისაა, რომ ცალკეულ ინდივიდთა და მოსახლ-

ეობის გარკვეული ფენის გადაკვარება-გაუტყობება საკმარ ხანია მღრღნელ ჰილ შეუჩნდა ზუგდიდის საზოგადოების მაღალ-ხეობრივ სულსა და სხეულს, ანგრევს და აპარტახებს მას.

თითქმის მთელი სამეგრელო, და განსაკუთრებით ზუგდიდი და მისი შემოგარენი, დღეს ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობის ასპარეზი გამხდარა. რამდენი აღამიანის ცრემლი და სისხლი ინთხევა აქ

გარეწართა წყალობით—საბოლოო ჯამში ჩვენი მხარის საზიანოდ. ხომ არ შეეგუა ზუგდიდი ამ უხამსობას, ხომ არ უკრავს ის ტაშს თავისაკვე კატასტროფას, ასე გარდაუეალი რომ მოჩანს დღეს?! არა და არა! მაგრამ შშრომელი პატროსანი აღამიანები—ასეთი კი ზუგდიდის მოსახლეობის უდიდესი ღმრთავლესობაა, ამ მდგომარეობით გატანჯულნი და აღშფოთებულნი, მაინც პირში ჩალაგამოვლებულებს გვანან. როგორც ჩანს, ეროვნულ მოძრაობას ამოღარებულ გარეწართა ხელში მომწყვდეული სიკვდილის იარაღი ზღუდავს მორალურ-პოლიტიკური ხედვა-შემეცნებისა და მოქმედება-ბრძოლის სარბიელს. ავლაგამოთ, ბანდიტები, კეთილგზას გავუყვნოთ გზასადენილნი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩავაბათ ისინი, საერთოდ, შემოვილოთ შრომითი ბეგარა თვით ინტელიგენციისთვისაც კი—ასეთია ხსნის გზა. ეს გზა მყარად უნდა შეერწყას ზუგდიდში მიძინებულ-მიმკვდარებულ ქერქო კაპიტალის საზოგადოებრივ ძალად გადაქცევას. ზუგდიდის შეუძლია და კიდევაც უნდა ვახდეს მდიდარი და ცივილიზებული ქალაქი.

ჯემალ კუპორია,
ზუგდიდის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოდან

ის სანთელი შენ იყავი. ის ლოცვა შენზე იყო. ის თვლები, ის ხელები, ის სახე შენი იყო. ის ბალი, ის სკამი, ის ლაფარო ვრცელი, ის ცა ოდიშური მუქ-ლურჯი, ის ზღვა მოლიციციე ჩვენი იყო. ის ურიცხვი აისი და დაისი, მზის ჩასვლა და ამოსვლა, ის ფერი მეწამული ჩვენ გვიყვარდა. ის კოშკები „თეთრი და და მალღობი“ ჩვენ ავაგეთ. რამდენნაირი სიძულვილი, დამარცხება, რამდენნაირი დამცი-რება უნდა ავიტანო შენგან, რომ უამ—უამ მაინც შეგახსენო თავი. რამდენჯერ უნდა ვიყვირო, რამდენჯერ, რომ ერთხელ მაინც გაგაგონო ჩემი ავადმყოფი სულ ის ხრიალი: ნუ შეეწირები ამ სიცივეს. ამ განუკითხაობას ნუ შეეწირები. გეცოდებოდეს, გტყი-ოდეს, გაუფრთხილდი, მოეფე-რე, გიყვარდეს. რამდენჯერ უნდა დამქრა, რამდენჯერ უნდა მომქლა, რამდენ-ჯერ. * * * ნუ შეეწირები ამ სიცივეს! ეს დადალია ადამიანის, შენი სულის ნაწილი რომ ჰქვია. ეს ქვეყანა შეცდომებზეა აგებული. შენ ნუ შეეწირები ამ შეც-დომებს! ეს ვედრებაა ადამიანის, ვი-

საც დედამიწის ზურგზე ყველა გზა მოექრა, იმ ერთის გარდა. ახლა ვიოლინოც სხვანაირად უღერს. შენ ნუ დაუყრავ სხვანაირად! ეს ნატვრაა ადამიანის, ვისაც შენთვის ყველაზე მეტის გაღება შეუძლია. შეხედე ხეებს! ეს ფიქრია ჩემი, ტოტებს შორის ნისლად გახლართული. უსმინე წვიმას! ეს სიმღერაა ჩემი, აქამდე ასე ალბათ ცოტას თუ უმღერია. უსმინე ღარიბ მუსიკოსთა ორკესტრს! იქ ხმას გაარჩევ უმისამართ-ოს, ბუნდოვანს, გაურკვეველს. ეს ჩემი ხმაა. დაიხარე უცნობი მხატვრის ტილოს წინაშე! იქ მრუმე ფონზე სილუეტს დაინახავ. ეს ჩემი სილუეტია. ნახე განწირული გვირილა? ეს მე ვარ, შენი სავალი გზე ბის პირას ამოსული. ეს მე ვარ ყველგან „ვისაც არასოდეს გაუმართლდა“. მე მიუსაფარი, მარტოსული, უიარაღო. მე... ეს ჩემს ღმილს, ჩემს მუხრას ეუბნები უარს. ეს მე მიინდა მთელი ქვეყანა მიყვარდეს. მაგრამ მაიშულებ სხვანაირად მოვიქცე. ეს მე ვტორივარ ურუქელ ანაზე, კარინინაზე, ბეატრიჩეზე, მადამ ჰანსკაზე, შეწყვეტილზე, დაუმთავრებელზე. გასაკუთბე-ლზე... ლექსზე, შენზე რომ მი-დოდა დამეწერა და მაინც ვერ დავწერე. ეს მე ვტორივარ წი-

ნასწარ ჩემს გარდაცვალებაზე. ეს მე შემრჩენია მაინც წმი-ნდა, ღვთაებრივი, სინდისიერი. ეს მე არ მქონია სიძულვილის თავი. ეს მე შემძლება კიდეც პატიე-ბა.. გაუფრთხილდი სულს! ნუ შე-გაშინებს ეს სინამდვილე. არ დააქურდავო ცხოვრება წვრილ-მანებზე. ეს სიტყვებია ჩემი უცნაურ-ად გადაბმულ-გამოყვანილი და გულუბრყვილო წანაწირებით სა-ვსე დღეობებიდან რომ ამოვიცი თხე ერთხელ. ნუ მომიტან მისკების თაი-გულს. დაბადებისთანავე რომ ქცნება ის ულტრამოდურ, ცივ სალონებს უხდება. მე მეშინია ამ სიცივის. მაჩუქე ქრისაწითელები! სიზმა-რში მაინც მაჩუქე! ეს სიტყვებია ჩემი „შენთვის რომ უნდა შეტყვა და ჯერ არ მიტყვამს“. * * * ნუ მემღერო! ახლა შერიგების დროა. ნუ გძულვარ! ახლ სიყვარულის დროა. ამ ქვეყანასაც მხოლოდ სიყვა-რული გადაარჩენს. ძმა საცალოფებო ბილიკს დაად-გა. მოაბრუნე, სხვა გზა ახსავდე. ვილაცას შადიმანი შეხვდა, მიეშველე ცოტენ აპოკინენ. ვილაცა სამართალს აგროვებს მის ალ-მისხლად. შენ ნუ იჭირკილებ ამაზე.

ცოდვას დაიდებ. ვილაცა როლებს თამაშობს და თამაშობს. შენ ნუ დაუყრავ ტაშს მის სპექტაკლებს ვილაცას სიკვდილი მიუსაჯეს უღანაშაულოდ. ვარამი გაიყავი მისი. ცოტა შენც ზიდე. უწამლე, უერთგულე, არ დაა-ლალატო, ვინც ღირსია. არაფერი გიჭირს მადლმოკი-დებულმა რომ იარო. მადლი მსუბუქია. ეკლესიაში მარტო სანთლის დანთება კაცობა არ არის. შენ თვითონ უნდა იყო ან-თებული სანთელი. ათი პატრონი, ათი ლაქია რომ გყავს. არც ეს არის კაცობა. უწაყრესი არ მიგრჩეს ამას-ობაში, გესმის? ირგვლივ სიცივემ დადგა ტახ-ტი დიდი ხანია. შენ ნუ შეეწირები ამ სიცივეს. გვედრები, მიიხვოვია. * * * შენ ნუ შეეწირები ამ სიცი-ვეს და ეს იქნება იმ მარადი-ული ბრძოლის გაგრძელება, ბნელისა და ნათელის ბრძოლა რომ შეარქვეს უსხვარი დრო-იდან. შენ ნუ შეეწირები ამ სიცივეს. შენ დარჩი ისეთი, როგორიც ხარ და ეს იქნება სიყვარულ-ისა და სილამაზის არდაბერება. ეს იქნება დაბრუნება, გამარჯ-ვება. უფრო მეტიც, ეს იქნება გადარჩენა. მარინე ჯონჯუა. თბილისის 27, 1992 წელი.

ამა წლის 4—5 ივლისს ზუგდი-დის შინაგან საქმეთა სამმარ-თველოში რეგისტრირებულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულ-ბანი. კერძოდ, ღამის საათებში დაუდგენელმა პირებმა ბოქლომის გატყვის შემდეგ შეაღწიეს სოფ-ელ დარჩელის მომხმარებელთა საზოგადოების სამეურნეო საქონ-ლის მაღაზიაში და წაიღეს სახ-ელწიფო ქონება. მაღაზიას ღამის დარჩევი არ ეყვანა. * * *

ავტომატითა და თოკით აღჭურ-ვილმა ბოროტმოქმედებმა ქ. ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთ-ობათა ქარხნის №1 საწყობის დარაჯი დაამწყვდიეს სამორი-გეო ოთახში, ტექნიკური ხერხის გამოყენებით შეაღწიეს საწყობში და გაიტაცეს სახელწიფო ფასე-ულობანი. * * *

ძმათა ომს შესწრულთა ახლობლები საყურადღებოდ!

საქართველოში მიმდინარე მოკ-ლენებმა, აქ დატრიალებულმა ძმა-თა ომმა არაერთი სახელოვანი მამულშვილის სიცოცხლე შეიწი-რა. დიდი დამოუკიდებლობა-სათვის ბრძოლაში გადებული მსხ-ვერბი, არაერთი სისხლიანი შეხ-ლა-შემოხლის მოწმეა ზუგდიდის აუნაზღაურებელია ადამიანთა მსხვერპლი, მატერიალური ზარა-ლი.

საქართველოს მატინეში სისხ-ლიანი ფურცლები იწერება. სამ-წუხაროდ, ერთ-ერთი ფურცელია სამეგრელოს რეგიონიც. გამოცე-მლებს განზრახული აქვთ გამოა-ცენ დაღუპულთა სხოვნისადმი მიძ-ღვნილი წიგნი, სადაც იქნება მათი ფოტოსურათები და ბიოგრაფიული მონაცემები.

ჩვენთვის ერთნაირად ძვირფას-ია ორივე მხარის დაღუპულთა სახელები, მათ ხომ ორივეს სჯერ-ოდათ, რომ საქართველოს კეთილ-დღეობისათვის იბრძოდნენ.

ვთხოვთ ძმათა ომში დაღუპულ-თა მშობლებს, ახლობლებს, მოგე-წოდონ დაღუპულთა ფოტოსურათ-ები და ბიოგრაფიული მონაცემ-ები გაზეთ „ოდისში“ რედაქციაში. ჩვენი მისამართია ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქუჩა 56.

დაღუპულთა სხოვნისადმი მიძღ-ვნილი წიგნის გამოქვეყნებამდე მასალა დაიბეჭდება ადგილობრივ გაზეთში.

წინასწარ გიხდით მადლობას!

სარედაქციო კოლეგია და ნირო კარტოზია, სიძე შერმ-ადინ ნანკვა, დისშვილი ირაკლი იუწყებთან ჭემალ ნაპოლეონის ძე კარტოზიას გარდაცვალებას.

მართლმადიდებლური კვდაგოგობა

მხატვრულ სიტყვას ოდითგან-ვე აქვს ყველაზე ძლიერი და შთამაგონებელი ძალა. იგი მუდამ არის აღზრდისა და განათლ-ების ყველაზე საიმედო საშუა-ლება. სიტყვა სულში იბადება და არა ტვინში და თუ დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ლექსიკ აში დამკვიდრებულ უსიამოვნო, უსიციოცხლო სიტყვები გვეს-მის, ეს თანამედროვე სკოლისა და განათლების არადამაჯმყოფ ალებელი მუშაობის შე-დეგია. ცნობილია, რომ რუსი პოეტი მ. ლერმონ-ტოვი თავის მძიმე ცხოვრების წლებში ხშირად ხმარობდა სა-ლოცავ სიტყვებს: „ჩემი ცხოვრ-ების მძიმე წუთებში, გულის შევიწროვებისას, სასწაულ სალო ცავს წარმოუტყვემდი ზეპირად ერთს“ ბავშვის სულს ალაფრო-ვანებს ღმერთის სალოცავი სიტყვები, ზრდის მას კარგისა-კენ. სალოცავი სული გრძნობს, რომ სიტყვა უწმინდესი და უძ-ლიერესია ამქვეყნად. აი, ლოც-ვაში რას ამბობს ღმერთი: „ქე შმარტად გეუბნებით თქვენ თითოეული საზეიმო სიტყვისათ-ვის უპასუხეთ ჩემი განსჯის

დღეს, არა საზეიმო სიტყვე-ბისათვის, არამედ ბრძოლისათვის გაჩუქეთ მე სიტყვა (არამედ), სხვა მაღალი დანიშნულებისა-თვის“. სწორედ სული, რომელიც ატარებს გულში ლოცვას და

ანთ ქვრივზე“ მუშაობისას ყურ-ადღებას ამახვილებს მის სალო-ცავ სიტყვებზე ღმერთისადმი. ახსიათებს მას, როგორც პატ-იოსან, მართალ და კეთილ, მშრომელ ადამიანს. მასწავლებ

მართლმადიდებლური პედაგო-გია სიტყვას დიდი გონიერებით მიმართავს, „რადგან თითოეულ სალოცავ თუ მხატვრულ სიტყ-ვაში ადამიანის სულის ნაწილია ჩაქსოვილი და ყუ სიტყვიერ-ების მასწავლებელი მოზარდებს შეაყვარებს მას, რომლითაც დაწერილია წმინდანთა ცხოვრება, ძველი ისტორიული თქმულებები და საერთოდ ყველა მართალი ნაწარმოები—მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: სწორად წარვმართეთ ბა ვშვის სული, სწორად დავთე-სეთ მის ყულში სიკეთე, მაღ-ალი ზნეობრივი თვისებები“. დღეს, მართლმადიდებლური პედაგოგია თავის მიზნად იხსავს —სიყვარულისა და ქრეშარტებისაკენ წარმართოს ბა ვშვთა და მოზარდთა სული, გაანთავისუფლოს სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში მუ მანიტარული დისციპლინები ყო-ველგვარი იდეოლოგიაციისაგან, შევავაროთ ახალგაზრდობას წმინდანთა სიტყვა. ქეშმარტება და ვაზიაროთ ადამიანთა შორის ადამიანურ ცხოვრებას. ალექსანდრე ღურჭაბია.

ვიგნი სულგე

მიმართავს ღმერთს, მადლობას უხდის, მუხლს იყრის მის წინაშე. ასეთი სული განიცდის სიტყვას, მის ძალას და სიტყ-ბოს, ბავშვის სული, რომელიც ატარებს ამ წმინდანს, მითი იწმინდება. ამას ეუბნებოდა ქრისტე თავის მოწაფეებს: „თქვენ არ გპირდებით წყლით დაბანვა, თქვენ უკვე განწმენ-დილი ხართ სიტყვით, რომლითაც მოგმართავდით თქვენ“. ღმერთის სალოცავი სიტყვები უხვად გვხვდება მშობლიური ლიტერატურის ნაწარმოებებში, რუსულ ლიტერატურაში. მაგა-ლითად სიტყვიერების მასწავ-ლებელი ი. ქავკავაძის „ოთარ-

ელმა უნდა მიმართოს მოსწავ-ლებს: „თქვენ როგორი აზრისა ხართ?“, „როგორი სიტყვები შეგიძლიათ მოუძებნოთ მას, რას დაუმატებდით თქვენ? და ა. შ. მოსწავლეები კი უმატე-ბენ: „კეთილი, ემოციური, ღმერთის მორწმუნე, დიდხულო ვანი, ოჯახის ერთგული გლეხის ქალი“. ამგვარი მუშაობით ბავშ-ვები შეიცნობენ თავიანთ თავსაც და განუფიქრებლად ლოგოკური აზროვნების უნარიც. ჩვენი აზრით, ღმერთის სალ-ოცავი სიტყვების ზეპირად ცოდნა წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა სულის ამოცნობის შესანიშნავ საშუალებას, წიგნ-სულზე.